



საგარეო მინისტრის განცხადებით საინფორმაციო ბაზით №2(160) 2018 წ. 16-31 იანვარი უახი 50 თმით

14 იანვარს საქართველოს დროის დღე აღინიშნა

ქართული დროს უჯარმის მხარე აფრიალდა

საგარეო მინისტრის განცხადებით, საქართველოს სახელმწიფო დროს დღესთან დაკავშირებით, 14 იანვარს უჯარმის ციხეზე საქართველოს სახელმწიფო დროსა მასშტაბურად აღმართეს. საქართველოს სახელმწიფო პიონი ანსამბლმა "პატარა გარეულებმა" შეასრულეს.

ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი ბიორბი მარბველაშვილი, პრეზიდენტის აღმინისტრაციის უფროსი ბიორბი აბაშიშვილი, კახეთის გუბერნატორის მოადგილე

ზურაბ არსენიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ბენო ბებუაშვილი, საგარეო მინისტრის განცხადებით მერი ბიორბი მარბველაშვილი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაჭიაშვილი, საპარლამენტო მდივანი ანა ნაცვლიშვილი, საერთაშორისო მდივანი თინათინა ფხადაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



სახელმწიფო დროსა ეროვნული დამოუკიდებლობის გამომხატველი სიმბოლოა. ერის ისტორიაში მას უმნიშვნელოვანესი როლი და დანიშნულება ეკისრება.

ძველი ქართული სახელმწიფო დროსები ჩვენი ერის ისტორიული წარსულის მრავლისმეტყველო დოკუმენტებია. ტერმინი „დროსა“ ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ იგი უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო. დროსის ტარს ეწოდება „ძელი“ ან „ბუნი“, ტარსზე შებმულ ტილოს კი „ალამი“.

დროსები სხვადასხვაგვარი იყო. არსებობდა სახელმწიფო დროსა, საეკლესიო, ლაშქრის (ლაშქრის ცალკეულ რაზმებსაც თავიანთი დროსები ჰქონდათ). სახელმწიფო დროსას სამეფო დროსა ეწოდებოდა და იგი ძალაუფლების სხვა ნიშნებთან ერთად მეფისაგან ტახტის მემკვიდრეს გადაეცემოდა. სახელმწიფო დროსას ქართველები სეფე-დროსასაც უწოდებდნენ. იგი ორგვარი ყოფილა: დიდი დროსა და პატარა დროსა.

დიდი დროსა განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენებოდა. მაგალითად, მეფის კურთხევის ან დაქორწინების დროს, ლაშქრობებშიც მეფეს ეს სახელმწიფო დროსა მიჰქონდა.

პატარა დროსა აღმართული იყო მეფის სასახლის თავზე, ასევე, წირვა-ლოცვების დროს ტაძარში.

XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები ქართულ სახელმწიფო დროსას იხსენიებენ, როგორც „გორგასლიან და დავითიანს... ბედნიერად ხმარებულს, დროსას სვიანს“. იგი იყო ერთიანი საქართველოს შემაკავშირებელი, მისი სიმდიერისა და სიამაყის გამომხატველი. ეს დროსა ვახტანგ გორგასლის დროიდან მოდიოდა.

საქართველოს „გორგასლიანი და დავითიანი“ სახელმწიფო დროსა თეთრი ფერისა ყოფილა, რომელიც წითელ ბუნზე იყო მიმაგრებული, ბუნი ჯვრის გამოსახულებით სრულ-

დებოდა. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო დროსაზე წმიდა გიორგის გამოსახულება იყო აღებული. ამ ცნობას იძლევა შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაური კოტოვინი, რომელსაც უნახავს იერუსალიმში სალოცავად მოსული ქართველები, ქართული სახელმწიფო დროსით.

XIV საუკუნეში ბარსელონაში გამოქვეყნდა ერთი კატალონიური ბერის მიერ შედგენილი მსოფლიო ქვეყნების ატლასი, სადაც ქართული დროსებიცაა აღწერილი. ამ აღწერილობით, ქართული დროსის აღმის თეთრ ფონზე მთელ სივრცე-სივრცეზე შინდისფერი ჯვრის სწორი ხაზებია გამოსახული, რომელთა კუთხეებშიც ასევე პატარა ჯვრებია ჩახატული. სავარაუდოდ, ასეთი დროსა XIII საუკუნიდან უნდა წარმოშობილიყო.

XIII-XIV საუკუნეებში თეთრი ალმის გვერდით ჩნდება შავიც. ფიქრობენ, რომ იგი დავით ნარინმა შემოიღო დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ.

მუნიციპალური გვერდი

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიები



საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 იანვრის რიგგარეშე სხდომას ამავე **საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა. **დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **პასაბერ მარგუბაძემ**. **დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ გააკეთა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ უსტიაშვილმა**.

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის „საგარეოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ თანამდებობრივ სარგოში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; **მეოთხე** „საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ და **მეხუთე საკითხზე** „საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა კახაბერ მარგუბაძემ.

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის მორიგ სხდომას ამავე **საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა.

სხდომაზე განხილული და ცვლილებები იქნა შეტანილი საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში, ამავე საკრებულოს აპარატის დებულებაში, საკრებულოს კომისიების: იურიდიულ საკითხთა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიების დებულებებში. ასევე, დამტკიცებულ იქნა საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული, საფინანსო-საბიუჯეტო, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეკონომიკისა და ქონების მართვის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის, შიდა აუდიტის, ადმინისტრაციული და შესყიდვების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სამსახურის დებულებები. თანხმობა იქნა მიცემული აიპ „რაბის კლუბი ვეფხეების“ დაფუძნებაზე. ცვლილება იქნა შეტანილი საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში. ასევე განხილულ იქნა საკითხი – საგარეოს მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს შექმნისა და მისი დამტკიცების შესახებ.



საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები



საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის **16 და 23 იანვრის** სამუშაოების ტრადიციულ თათბირებს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილეები **პაატა ასრათაშვილი** და **ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდნენ. თათბირს გამგეობის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და მშენებლობის, ქონების მართვისა და სტატისტიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურების უფროსები და თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. სოფლებში მერის წარმომადგენლებთან ერთად მათ დაწვრილებით მიმოიხილეს ცალკეულ სოფლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.



ჩვენს ტერიტორიულ ერთეულებში მოწესრიგდა სასმელი წყლის მიწოდება



სოფ. ვერხვიანში (მერის წარმომადგენელი ნოდარ ბეგიაშვილი), სოფლის მოსახლეობის მიერ და საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით მოხდა სასმელი წყლის მიწის რეაბილიტაცია, რომელიც ზამთრის პერიოდში იყინებოდა, რის გამოც დაახლოებით, 65 ოჯახს წყალი შეფერხებით მიეწოდებოდა. სოფლის მოსახლეობის ძალეებითვე მოწესრიგდა აღნიშნული საშუალების შესრულებისას დაზიანებული გზის საფარი.



ლანა როსტიაშვილის ფოტოები

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გრივალა ჩვენს მუნიციპალიტეტსას მიყენა ზარალი

9 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ძლიერმა გრივალმა მნიშვნელოვანი ზარალი მიყენა. ქალაქ საგარეჯოში 15 საცხოვრებელი სახლი დაზიანდა, ვერონაში, მანავში – ორ-ორი სახლი, თოხლიაურში – 3, გიორგიშინდაში, ქეშალოსა და მუდანლოში – 1-1 სახლი, უდაბნოში – 4. სულ მუნიციპალიტეტში 29 სახლის სახურავი დაზიანდა და გიორგიშინდის საბავშვო ბაღის 1 ფანჯარა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პაატა ასრათაშვილის ორგანიზებით ადგილზე იქნა შესწავლილი თითოეულ სოფელში გრივალისაგან მიყენებული



ზიანი და ოპერატიულად იქნა გამოძებნილი თანხები აღნიშნული ზიანის გამოსასწორებლად.

10 იანვარს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური და მრავალბინიანი სახლების გადახურვის მიმდინარე სამუშაოები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ პაატა ასრათაშვილმა, მერის წარმომადგენელმა ქალაქ საგარეჯოში იოსებ მარხვაშვილმა დაათვალიერეს.



არჩვენებრივად ვ თვე გავიდა სალხის რჩეული ამოჩრეველს უსენენ პრობლემები, რომლის მოგვარებასაც ითხოვენ სოფლები

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული კვარტალური გეგმის მიხედვით 2018 წლის 11 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიგო ბაღიაშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ივანე ივანიშვილი, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ შუბიაშვილი, საკრებულოს წევრი (სოფელ კოჭბანის მაჟორიტარი) ხათუნა ბერიძე, საკრებულოს წევრი (სოფელ გომბორის მაჟორიტარი) დავით არაბული, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ზონის სოფლების (უჯარმა, კოჭბანი, გომბორი) მოსახლეობას შეხვდნენ და ისაუბრეს სოფლებში არსებულ პრობლემებზე. მოსახლეობის მიერ ძირითადად წარმოდგენილი იქნა საკითხები გარე განათების მოწყობის შესახებ, სოფლებში არსებულ გზებთან და წყალმომარაგებასთან დაკავშირებით.



სოფელ კოჭბანში



სოფელ უჯარმაში



სოფელ გომბორში



სოფელ ნინოწმინდაში



საბარეჯოს წევრები ხა-
შვილებთან



გომბორის მაჟორიტარი დეპუტა-
ტი დავით ბრატული და საბარეჯოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯ-
დომარე ზურაბ შუბიაშვილი.



სოფელ ხაშვში

გვარტალური გეგმის მიხედვით 2018 წლის 16 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ ურდუაშვილი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელენე სამხუაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევა მარიაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ელდარ მუხარბიძე, საკრებულოს წევრი (ხაშვის მაჟორიტარი) ნიკო ნახუცრიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ხაშვის, ნინოწმინდის, წყაროსთავის მოსახლეობას შეხვდნენ და ისაუბრეს სოფლებში არსებულ პრობლემებზე. მოსახლეობის მიერ ძირითადად წარმოდგენილი იქნა საკითხები გარე განათების მოწყობის შესახებ, სოფლებში არსებულ გზებთან და წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიები არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით მოამზადებენ სათანადო დასკვნებს და წარუდგენენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მიღებულ იქნეს სათანადო ქმედითი გადაწყვეტილებები პრობლემების მოგვარებისათვის.

შპს „საბარჯო“

მოგზარდა და კოლაპსი იზრუნებენ არსებული პრობლემების მოგვარებაზე

საბარჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ ყოველთაობრივ კონკრეტული დავალებები ეძღვნება შპს „საგარეჯო“ ხელმძღვანელობას. მართალია, შპს-ს თანამშრომლები არსებულ პრობლემებთან გასამკლავებლად რიცხობრივად შეზღუდვები არიან, მაგრამ თავდაუზოგავად და მაღალი პასუხისმგებლობის გრძობით ეკიდებიან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. შპს-ს ორი ტრაქტორისტი მათზე მინდობილ ტექნიკას – მუხლუხა ტრაქტორის („ესტო“) და JCB-ს ფირმის ბორბლებიანი ექსკავატორის, თვითმცდელის მძღოლი ყოველდღიურად იმ დავალებებს ასრულებენ, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ პრობლემებს აწესრიგებს. პრობლემების მოგვარება კი მოსახლეობისთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას უწყობს ხელს – წესრიგდება გზები, საყოფაცხოვრებო ნარჩენისგან იწმინდება ტერიტორიები, წესრიგდება სარწყავი და სანიადვრე არხები, მოსახლეობას უადვილდება საგარეულებთან მისასვლელი გზით სარგებლობა, მწყობრში დგება გამართული სასმელი წყლის ქსელი. მართალია, მთელი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობს მძიმე ტექნიკა, შპს-ს 24 თანამშრომლიდან თითოეული მათგანი, მაგრამ, როცა საქმე ინფრასტრუქტურის მოწყობას ეხება, ზოგ შემთხვევაში 24 საათიანი მუშაობაც არ არის გამორიცხული. შპს-ს თანამშრომლებმა გააცვიფრეს ძველი წელი, ძველ წელს გაატანეს მათ მიერ უკვე მოგვარებული პრობლემები, მაგრამ არანაკლები მუშაობა მოუწევთ ახალი წლიდანაც, ოღონდ, ეკ არის, რაც უნდა გააკეთონ, იციან, კლიმატური პირობების პროგნოზირებას და მისგან მოყენებულ ზარალს ჯერ-ჯერობით ვერავე განსაზღვრავს. ეს მომავლის საქმეა.

დღეს კი შპს „საგარეჯო“ დირექტორი **სანდრო შსტიაშვილი** 2017 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ გვესაუბრება:

მოხდა სტიქიურად არსებული ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია – სოფლების პატარძელისა და მანავის შესასვლელთან, სოფელ თოხლიაურთან არსებული ცენტრალური საგზაო მაგისტრალის გასწვრივ არსებულ ტერიტორიაზე, პატარა ჩაილურის, უჯარმის, სოფელ პატარძელის 2 სტიქიურად წარმოქმნილი ნაგავსაყრელების, საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილთან არსებული საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიიდან გატანილი იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები; ბაღიაურში მოხდა სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, მზისგულში, ასევე, ბაღიაური-ორმულანლოს დამაკავშირებელი გზის ტერიტორიაზე, სოფელ ლამბალოს, დიდი ჩაილურის ტერიტორიაზე, სოფელ ბაღიაურში არსებული სასაფლაოს ტერიტორიაზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლდა წლების განმავლობაში ხაშში სტიქიურ ნაგავსაყრელად ქცეული 4 პა მიწის ფართობი, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა საგარეჯოში არსებული „სიყვარულის ხიდის“ მიმდებარე ტერიტორია; საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიები.

გაიწმინდა და შეკეთდა სანიადვრე არხი: სოფ. წყაროსთავში, სოფ. მანავში, მზისგულში, ქ. საგარეჯოში, ჯაფარიძის, სარა-

ჯიშვილის, თამარ მეფის, გურამიშვილის ქუჩებზე, თოხლიაურში ათეული წლებით გასაწმინდა სანიადვრე არხები.

გაიწმინდა ხეები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და ნატანისგან: ნინოწმინდაში, წყაროსთავში, მანავის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხეები, გაიწმინდა და გაგანიერდა, მცირედ დაღრმავდა ნინოწმინდაში არსებული „ქანანთხევი“, გიორგიწმინდის ხევი, 200 მეტრ სიგრძეზე გაიწმინდა პატარა ჩაილურის ხევი, ჩატარდა მდინარე „თვალთხევის“ კალაპოტის გაწმინდითი და ჯებირსამაგრი სამუშაოები, გიორგიწმინდაში არსებული ე.წ. „უზინთხევი“, საგარეჯოში ე.წ. „ტიკიაურასხევი“ (აღმაშენებლის ქუჩაზე), უხვი ნალექების შედეგად დაგროვილი ქვა-ღორღისაგან გაიწმინდა თოხლიაურის ხევი, ანთოკის ხევი, საგარეჯოში, სათავის ქუჩაზე არსებული ღვარსაშობი, განმეორებით გაიწმინდა სტიქიისაგან კალაპოტ-შეცვლილი თოხლიაურის ხევი, პატარა ჩაილურში არსებული ხევი;

მოწესრიგდა, მოიხრეშა და მოშანდაკდა სოფლებისა და ქალაქის ქუჩები, მოსახლეობის საგარეულებსკენ მიმავალი გზა: მოიხრეშა და მოშანდაკდა დიდი ჩაილურის მოსახლეობის კუთვნილი ვენახებისკენ მიმავალი 3 კმ სიგრძის გზა. სულ 600 მეტრ სიგრძის მონაკვეთზე მოიხრეშა ალაზნის, თამარ მეფის, ქეთევან წამებულის, მე-13 და არაიშვილის ქუჩები. მოიხრეშა და მოშანდაკდა ყაზბეგისა და ჯაფარიძის ქუჩები (სულ 300 მეტრი, 5 მ. სიგანის), მოიხრეშა და მოშანდაკდა პატარძელში კოტორაშვილების და ლალიაშ-



გზა, თამარ მეფისა და ჯაფარიძის ქუჩების დაზიანებული მონაკვეთები; მოსწორდა სოფელ პატარძელის ე.წ. ბუღალაანთუბნის გზა, მოიხრეშა და მოშანდაკდა სოფელ მანავის შიდასაუბრო გზები; საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის III შესახვევის გზის ნაწილი, პატარა ჩაილურელთა ვენახებისკენ მიმავალი გზა, თოხლიაურის ე.წ. „ვალმაუნის“ და ყოფილი პიონერთა ბანაკისკენ მიმავალი გზები, ქ. საგარეჯოში, კოსტავას ქუჩით ვენახებისკენ მიმავალი გზა; საგარეჯოში პეტრე-პავლეს სახელო-

უნაანთ სასაფლაოსკენ მიმავალი გზა.

აღდგენილ იქნა სასმელი წყლის მაგისტრალი: პატარა ჩაილურში შეკეთებულ იქნა წყლის სათავე-ნაგებობასთან არსებული დამბა, სოფ. მარიამჯვარში სპეცტექნიკის მეშვეობით განხორციელდა სასმელი წყლის მილის რემონტი, სოფელ პატარა ჩაილურში გაკეთდა სასმელი წყლის დამბა, სოფელ თოხლიაურში გაიჭრა სასმელი წყლის არხი და მილის ჩადების შემდეგ მოსწორდა მიწა, იქვე სასმელი წყლის რეზერვუართან გაკეთდა დამბა. სოფ. უჯარმის ცენტრალური სასმელი წყლის მილის რემონტი, მარიამჯვარში, ვერხვიანში, გიორგიწმინდაში განხორციელდა სასმელი წყლის მილების რემონტი. მონაწილეობა მიიღეს ნინოწმინდაში არსებული წყლის ჭაბურღილის სარეაბილიტაციო სამუშაოებში; სოფელ მანავში შესრულდა სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შეკეთდა ქუჩის და ზიანებული მონაკვეთები: საგარეჯოში – რუსთაველის, ერეკლე მეორის, დ. აღმაშენებლის, მამისაშვილის ქუჩები, ჯაფარიძის ქუჩის დაზიანებული მონაკვეთები; სოფელ ნინოწმინდაში არსებულ სასოფლო გზის მონაკვეთზე მოიხსნა გზის საფარი გარკვეულ სისქეზე, მოსწორდა წვიმისაგან დაზიანებული ადგილები და მოშანდაკდა. ასევე, მოსწორდა და მოშანდაკდა სოფელ გომბორში მკვეთრად დაზიანებული შიდასაუბრო გზები.

ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ხეობებს: მდინარე „თვალთხევის“, სოფელ მანავში არსებულ ხეებს; გამაგრდა საგარეჯოში წიფლის ხევის დაზიანებული ჯებირები, ნაპირსამაგრი ჯებირები გაუქმდა თოხლიაურში არსებულ ხეებს.

გარდა აღნიშნული საქმიანობისა, შპს „საგარეჯო“ თანამშრომლებმა **აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შესასრულებელ სამუშაოებში.** ასე, მაგალითად, ქ. საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მცხოვრებ ხანძრისგან დაზარალებული მოქალაქის ზაზა ბახერაშვილის ოჯახს ახალი სახლის საძირკვლის გაჭრაში დაუხმარებენ; გიორგიწმინდაში სტიქიურად გაჩენილი ხანძრის დროს მაღალი ოპერატიულობით გაუკეთეს გზა სახანძრო-სამაშველო მანქანებს ხანძრის დროს ადგილამდე მისასვლელად; გუბერნიასა და გარემოს დაცვის სამინისტროს დავალებით სოფელ გიორგიწმინდაში განხორციელდა სანახშირე ორმოების ლიკვიდაცია; სოფელ უდაბნოში ე.წ. სვანური კოშკის მშენებლობის დასაწყებად შეასრულეს მოსამზადებელი სამუშაოები.

მომავალი ახალი წლიდან ფართო მასშტაბით შესასრულებელი სამუშაოები ელოდებათ შპს „საგარეჯო“ თანამშრომლებს, ისინი კვლავ შემართებული შრომით შეუდგებიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას.



ვლების საუბრო გზები, მე-9-ე ქუჩა, წმიდა შიო მღვიმელის სახელობის ეკლესიასთან გამავალი გზა, ჯაფარიძის ქუჩის პირველ ნიხში არსებული გზა, მანავში-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგარეულებებისკენ მიმავალი გზა; საგარეჯოში-ბილანიშვილის ქუჩა, სოფელ ბაღიაურში -თელეთის სალოცავისკენ მიმავალი გზა, სოფელ უდაბნოსკენ მიმავალი და „ჯეო-ჰოსპიტალს“-თან არსებული კორპუსებისკენ მიმავალი

ბის ტაძრისკენ, სოფელ ხაშში კაწარეთის ტაძრისკენ მიმავალი გზები, სოფელ ყანდაურაში არსებული ძლიერ დაზიანებული 2500 მეტრ სიგრძის გზა; წყაროსთავსა და ნინოწმინდაში, ასევე „მზეთუბნის“ გზები; სოფლებში – დუზაგრამასა და ლამბალოს შიდასასოფლო გზები; საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე არსებულ კორპუსთან მოსწორდა და მოშანდაკდა გარკვეული მოცულობის ტერიტორია. კახეთის ქუჩაზე, ე.წ. „უსინათლოთა საზოგადოების“ გზის მოხრეშვა, ასევე, ერეკლე მეორისა და კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიები.

გაიჭრა არხი: პატარძელის მოსახლეობის თხოვნით ტყიდან მომდინარე წყლისგან „მრიხიანთ ციხის“ დასაცავად არხი და წყალს მიმართულემა შეეცვალა. ნინოწმინდაში, ე.წ. „აჭარელების დასახლებაში“ დაიკეტა საკანალიზაციო არხი, ნიაღვარი ხევისკენ გადანაცვლდა, მდინარე თვალთხევიდან სარწყავი არხი გადავიდა ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების გასარწყავებლად.

გაიწმინდა სარწყავი არხი: იორმულანლოში 100 მეტრი სიგრძის, პატარა ჩაილურის მოსახლეობის ვენახებისკენ მიმავალ გზაზე არსებული სარწყავი არხი.

მოწესრიგდა სასაფლაოსკენ მიმავალი გზები: საგარეჯოში არსებული სასაფლაოსკენ მიმავალი გზები, მოიხრეშა და მოშანდაკდა სოფელ პატარძელში გი-



მწიკდი - ჩვენი სიბედობა

„გალსი ვიყო სთიგი,
არა მნადიან ხელოვა“ (ვაჟა)
== ჭიჭიანის დიდოსტაბის 70
წლიანი გზა ==

დასასრული

გაერთიანების“ მენეჯერი, ჭიჭიანის ამ სახეობაში გამომბრძოლი ადამიანი და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი, რა ზედაც პირადად განაცხადებდა უარი?

– მისარია, რომ ჩვენი მოტივად და ვითარებით ახალგაზრდებში გახდა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი 74 კგ წონით კატეგორიაში. ასევე, დიდებში ევროპის და მსოფლიოს პრიზიორი. ამავ წონაში საერთაშორისო ტურნირებისა და ევროპის ჩემპიონია ზურა ერბოწონაშვილი. თუმცა მიმანია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რათა საგარეჯოში აღვზარდოთ არსენ მეოკიშვილის, ლევან თვლიაშვილის და სხვა სახელგანთქმული მოტივადების დარი ფალაგები.

– ყველაზე მეტად რა თვისებებს აფასებთ და არ მოგწონთ ადამიანში?

– ადამიანს მთავარი გააჩნდეს ადამიანობა, ერთმანეთის სიყვარული და გატანა, შეეძლოს გაჭირვებულის თანადგომა. არ მომწონს ჭორიკანა, უსაქმური, შურიანი და სხვის მიმართ ყოველთვის კრიტიკულად განწყობილი ადამიანები.

– თქვენ უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში განთავსდნენ პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობა იმ დროს მოციქაით, როცა საფუძველი ჩაეყარა და შენდებოდა ახალი ქართული სოფელი – უდაბნოამდენად მომწონდა თანამონაწილე ხართ ყველა იმ სიკეთის, რაც იქ კეთდებოდა საინფორმაციო და სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებულთა კულტურული, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად. ახლა, ამდენი წლების შემდეგ როგორ გაიხსენებთ იმ წლებს?

– ეს წლები მართლაც იყო უდაბნოს შენების, გრანდიოზული აღორძინების წლები. სოფელში მოგვარდა სასამედიო წყლის, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო, განათლების, კულტურის, სავაჭრო პრობლემები. აიყო ახალი საცხოვრებელი სახლები, გაკეთდა გზები და მიმანია, რომ ამ საქმეში პატარა წვლილი მეც მიმიღვის.

– თუ შეიძლება თქვენი შემდგომი შრომითი საქმიანობისა და ოჯახის შესახებ გავაცნოთ მკითხველს...

– უდაბნოში მუშაობის შემდეგ ვმუშაობდი ჯერ საგარეჯოს ტყე-სანერგე მეურნეობის დირექტორად, შემდეგ მეპარეშუმეობის რაიგაერთიანების დირექტორად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბაჟო სამსახურის ფიტო-სანიტარული სამსახურის უფროს სპეციალისტად. როგორც იცით, ეს უკანასკნელი წლებია ვმუშაობ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მენეჯერად. ჩემი მეუღლე – მარინა ილაური საგარეჯოს „ჯეოპოსიტივალის“ პედაგოგიული მიმართულების უფროსი ექიმი-პედიატრია. ვაჟები: გიორგი და ნიკა არიან შსს სამინისტროს თანამშრომლები. მეავს სამი შვილიშვილი, – ტატო, ნიკა და დათა, რომელთაგან ყველაზე უმცროსია პირველი ოქტომბერის დაბადებული დათა. რძეებიდან ქეთი მეხაშიშვილი ექიმა, მაგდა ბალახაშვილი კი ახლა ეუფლება ამ პროფესიას.

– თქვენი 70 წლის იუბილე ძველი ახალ წლის დღეებს დაემთხვა. რას უსურვებდით ამ წელში საგარეჯოელებს, მთელ საქართველოს?

– პირველ რიგში საქართველოს გათვლიანებას, მიღწევებსა და წარმატებებს სპორტში, კულტურაში, სწავლაში, გამრავლებას და ბედნიერებას, ხეავსა და ბარაქას,



თემურ ქავრიშვილი – 70
გული, ჩოქელი მუშაობის
სოფლის მომავალი თაობის
სიყვარულით კვირს

თემურ ქავრიშვილი – ახსენებთ ამ სახელს და ასოციაციით უმაღლე თვალწინ წარმოგიდგებათ მარადმწვანე ხეებში ჩაფლული პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის შენობა, რომლის დირექტორადაც იგი აჯერ უკვე ოცდამეხუთე წელია მუშაობს. ამქვეყნად მრავალნაირი დირექტორები არსებობენ, რომლებიც თავიანთი ქცევით ადამიანებს თავს სხვადასხვანაირად ამახსოვრებენ. ბატონმა თემურმა კი თავის დირექტორად მუშაობის 33 წლის (ერთხანს ის თოხლიაურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორიც იყო) მანძილზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს, მათ მშობლებს თავი დაამახსოვრა, როგორც სამართლიანმა, მეგობრულმა და ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისების მატარებელმა ხელმძღვანელმა.



პოდა, ამ თაფლივით ტკბილ, ყველასათვის საყვარელ და მოსაფრებელ კაცურკაცს 20 იანვარს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ რედაქციაში მოვიწვიეთ ჩვენი გაზეთის „ძირძველი“ მეგობარი და გულშემატკივარი იუბილარი და შევეცადეთ კიდევ ერთხელ გაგვეცნო მისი თავი ჩვენი მკითხველისათვის უწინდებურისაგან ოდნავ განსხვავებულ რაკურსში.

– ბნო თემურ, თქვენი მოღვაწეობა იმ დიდმნიშვნელოვან და მამულიშვილურ საქმიანობაში, რასაც ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობების აღზრდა ჰქვია, კარგად იცნობენ და აფასებენ მუნიციპალიტეტში. ახლა კი შეეცადეთ და თქვენი შევიწყალეთ თემურ ქავრიშვილი, როგორც ოჯახის უფროსი და თქვენდამი რწმუნებული სკოლის ხელმძღვანელი...

– დღეის გადმოსახედიდან ვარ დიდი ქართული ოჯახის – სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის პატრონი. უფროსი ქალიშვილი მაკა ორი შვილის დედა და საგარეჯოში PSP-ს ერთ-ერთი აფთიაქის მენეჯერია. შუათანა ეკა, ერთი შვილის დედა თბილისშია გათხოვილი, უმცროსი – ლელა ორი შვილის დედა, დიასახლისია. ჩემი მეუღლე ნინო სკოლის მასწავლებელია.

რაც შეეხება ჩვენს სკოლას, აქ 27 პედაგოგ-მასწავლებელია გაერთიანებული და მას ჩემი ოჯახისაგან არ ვანსხვავებ. ვცდილობ და თითქმის მუდამ ვახერხებ ყველასათვის თანაბრად ვიყო სამართლიანი, მეგობრული, რომ ჩემში მუდამ ხელაფენენ დამხმარესა და მეგობარს, რადგან სიკეთე ყველაფერზე ძლიერია ამქვეყნად. – სიცოცხლის 70 წლიდან თემურ ქავრიშვილი 33 წელიწადზე მეტე პედაგოგიური საქმიანობასა და სკოლის ხელმძღვანელობა აქვს გატარებული. ვინ იყო ის პიროვნება, ვინც გავლენა მოახდინა თქვენს პროფესიულ არჩევანზე და მაინცდამაინც ეს პროფესია აირჩიეთ, მაშინ, როცა შეგეძლოთ გამხდარიყავით აგრონომი, ვეტერინარი, ანდა სხვა ნებისმიერი პროფესიის ადამიანი.

– მოგვხსენებთ, რომ დამთავრებული მაქვს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის მასწავლებლის კვალიფიკაციით. ადამიანი, რომელმაც ეს საგანი და პროფესია შემავარა და დიდი როლი შეასრულა ჩემს ჩამოყალიბებაში, იყო პატარა ჩაილურის საშუალო სკოლის დედაწვლილი დირექტორი და ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელი, ვაჟაკური თვისებებით ყოველმხრივ შემკული პიროვნება ვანო ფხალაძე. მას, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი სოფლის სხვა ღირსეული თაობების აღზრდის საქმეში.

– დაიბადეთ და 70 წელია ცხოვრობთ პატარა ჩაილურში. რას ნიშნავს ეს პატარა სოფელი თქვენთვის?

– სხვებისათვის შეიძლება მართლაც პატარა იყოს ჩვენი სოფელი, მაგრამ ჩემთვის იგი მუდამ დიდი, ახლობელი და უსაზღვროა, რომელსაც უკავშირდება ჩემი 70-წლიანი ცხოვრების თითოეული წუთი და საათი. მიყვარს და არასოდეს გამინდლება ჩვენი ხალხის, სოფლის ყველა კუთხე-კუნჭულის, ყველა უბნის სიყვარული, რომელიც ჩვენს წარსულსა და ისტორიას უკავშირდება.

– ამბობენ თემურ ქავრიშვილი ამ „სიბერეშიც“ არ ანებებს თავს ფეხბურთის თამაშსო?

– ფეხბურთი იმთავითვე მართლაც ჩემი საყვარელი სპორტის სახეობა იყო და ახლაც რჩება, ანუ, უნდა ვაღიარო, რომ ფეხბურთი ჩემი პატარა პობია. ფეხბურთს ვთამაშობდი ყველგან და ყოველთვის. სამხედრო-სავალდებულო სამსახურში წასვლამდე ერთი წელი საგარეჯოს „გარეჯშიც“ ვთამაშობდი ნუგზარ იმედაშვილთან, „ტიდასთან“ და იმ თაობის სხვა ფეხბურთელებთან ერთად.

– თემურ! თქვენი ოჯახი უკვე გაგვაცანი. მოდი ახლა ისიც ვთქვათ, თუ რით შეიძლება მოიპოვოს მამაკაცმა ოჯახის „ლიდერის“ პოზიცია?

– კაცი ოჯახშიც, სამსახურშიც და სოფელშიც უნდა იყოს სამართლიანი და კაცური თვისებების ადამიანი. უამისოდ ცხოვრებაში არაფერი გამოვა. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მივდექ ამ პრინციპს და თამამად შემიძლია ვთქვა, არაკაცური არაფერი გამიკეთებია ამ ქვეყანაზე.

– თქვენ ამ ქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი და ურთულესი ამოცანა – ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობების აღზრდის საქმე გაგვალაით. როგორ ფიქრობს თემურ ქავრიშვილი: შეძლებენ თუ არა მისი აღზრდილები უპატრონონ ისეთ საქართველოს, რომელიც მართლაც საქართველო იქნება?

– ამ ქვეყნად ყოველი ადამიანი საქმით გამოიცდება. ჩვენს სკოლას თავისი არსებობის მანძილზე მრავალი პრობლემა ჰქონდა, რომელთა მოგვარებაშიც გვერდში ხშირად გვიდგანან მის კედლებში აღზრდილ-დაფრთიანებული ახალგაზრდები და ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს კი იმის ნიშანია, რომ მათ გული შესტკივთ მშობლიურ კუთხეზე, თავიანთ სამშობლოზე და შემდგომშიც თავს არ დაზოგავენ მის საკეთილდღეოდ საკეთებელ საქმეში.

– ღმერთმა დღეგრძელობა და სიკეთე მისცეს მშობლიური კუთხის, ღირსეული მომავალი თაობის აღზრდის, ყოველივე ქართულის მოყვარულ და მოამაგე იუბილარს!

ბიზი ლაბანიშვილი

